# ე რ ი

№ 7
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 8 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

დრაპი, ბიზერი, ტრიკო, მაუდი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი
და ზ. ზ. ოზანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.

---

## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

### „ე რ ი"

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.
მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Эри". Ивановская, д. В. Чиладзе.
ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери".
გაზ. „ერის" კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშვადღევის 5—7 საათამდი. კვირა-უქმე დღეებში დილის 8—12.

---

ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა და კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ გადაცვალებას მათი ბიძის

## თ-დი კოსტანტინე ივანეს ძის აბაშიძისა.

რომლის დაკრძალვაც იქნება რვას ამა ნოემბერს, დღით პარასკევს, ნაშვადღევის სამ საათზე. გამოსვენება მთავარნაგელოზის ეკლესიიდან საფიჩხიის სასაფლაოზე.

პანაშვიდი საღამოს შვიდ საათზე ყოველდღე მთავარანგელოზის ეკლესიაში.

---

გიორგი ოტიას ძე აბდუშელიშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 ნოემბერს სოფელ შელეურში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი შვილის

## ზურაბ აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლათ.

---

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები
## „დ ე ლ ი-ბ ა ბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. — იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა **„ბინიატ-ოღლისა"** ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

---

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლი თ.**

| | |
|---|---|
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და მინაგ. | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12\frac{1}{2}$ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძუს შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი.** წ.

---

## ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ქალთა წრის საფინანსო კომისია წრის საშუალებათა გასამდიდრებლათ გამართავს

## ქ ა რ თ უ ლ ს ა ღ ა მ ო ს.

---

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. კ. ნიჟარაძე

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია საგანგებო კრება გუბერნიის თავადაზნაურთა ქალაქ თფილისში მოსამზადებელი პანსიონის გახსნის საჭიროებისთვის ფულის გადადების საკითხის განსახილველათ.

---

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ. , რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი **ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშვთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

---

კაც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.**
თ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

## ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

### პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.

---

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ ყლურული"** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცქა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლოკ"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გო ლის სახლში **ვ. ტიეგო.**

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს **(შინაგანი, ვენერიული, კანის)** ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**ა ქ ი მ ი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

---

## დაბა ზესტაფონი

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშვთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

---

**ა ქ ი მ ი** **ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. ბალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ა ქ ი მ ი** გ. ა. **მეიფარიანი** ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

---

**ა ქ ი მ ი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

---

**ა ქ ი მ მ ა** ბ. ა. **მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

---

## „ჯ ვ ა რ ს ა ც ვ,
## ჯვარს აცვ ეგე!"

**დასასრული იხ. „ერი" № 6.**

ფედერალისტებს ძალიან გულით რო მოეწადინებიათ იმ დროში ამ საქმის გამოკვლევა, შეუძლებელი იყო. გამოძიებაში უსათუოდ ჩაერეოდა მთავრობის წარმომადგენლები და, შესაძლებელი იყო—ბევრი ბრმა იარაღი სახჩობელაზე აეყვანათ. ფედერალისტების სურვილს კი შურის ძიება არ შეადგენდა. ფედერალისტები, პირიქით ყოველ ღონესა სდებდენ, რომ მთავრობას შეეწყნარებია ფიზიკური მკვლელები, რადგან სწამდათ, რომ იგინი უდანაშაულო არიან, ვითა შეცთომაში შეყვანილი, უდანაშაულო სხვერპლი ფანატიკურის წამქეზებელისა. სხვას გარდა სიმართლის გამოსარკვევათ ერთადერთი საშვალება ეს იყო, რომ მკვლელები, ადრე თუ გვიან, გვამცნებდენ ვინ, ან რამ ჩაადენიათ მათ საეროვნო დანაშაული. იგი აფციაური უკვე სინანულში აკი ჩავარდნილი. მაგრამ აფციაური დიდის ზარითა და ზეიმით გაათავისუფლეს, მერე აკი „ვილაცამ" მოკლა, „ვიღაცა" ბოროტმა ხელმა მისთვის შეკრა გზა სინანულისა, და ძალით მოგვიჭრა საშვალება სიმართლის აღმოჩენისა.

და ახლა გვეპატიჟებიან—სიმართლე გამოვიკვლიოთო!

სიმართლე გამოკვლეულია: რაც ნებავს ბ. ფ. მახარაძეს და მის ქეშიკებს, იმას ჩაადენიებენ რამდენიმე ასსა და ათასს კაცს, თუ გინდ ისეთ საშინელებასაც კი, რომ განაწამებ ადამიანს, „რათა არა დაადგრეს გვამი მისი ჯვარსა ზედა" წვივთა გაატეხინებს და ჯვარზე სისხლიანის ხელით დაასერინებს, აჰა, კაცი, რო-

მელიც ,,ასრულებდა სამარცხვინო როლს ჯაშუშობისას". მეტად ტრაგი-კომედიულ შთაბეჭდილებას ახდენს „პროტესტანტთა" მუქარა, ლანძღვა-გინება მოწინააღმდეგებისა: ,,სასტიკი პასუხი მოგეთხოვებათ, საცა არის გათენდება, და მაშინ ვაი მისი ბრალი, ვინც საზიზღარი ცილისწამება სთესა''—გვეუბნება ერთი; ,,დგება დრო, როცა მოგთხოვთ უკანასკნელ პასუხსაო''—გვეუბნება მეორე მაგრამ ყველაზე ის, რომელიც გვიმასპინძლდება ,,ამ განახლების გარიჟრაჟზე'' ,,უდიდესი გულისწყრომითა და უღრმესი ზიზღით''... გვწამს, ბატონებო, და თქვენი დაპირებაც არ გვინდა. მან ვინც ილიას მკვლელობას ნიადაგი მოუმზადა, ვინც იგი საფლავშიაც კი არ დააყენა და მკვდარი ამოიღო და გაამათრახა, მისთვის არ არსებობს საზღვარი სისაძაგლისა და სიბინძურისა, მაგრამ გეშინოდეს ხალხის გულის წყრომისა და იცოდეთ—მაგისთანა ექსპერიმენტებს აწ არავინ დაგანებებსთ.

თქვენი სიდუხჭირეც ის იყო, და ჩვენი უბედურებაც, რომ „განახლების გარიჟრაჟზე'', განთიადის დროს მრავალი ენერგია და ძალა მიალიეთ მას, რომ გედევნათ უდიდესი ქართველი მეცხრამეტე საუკუნისა, ლაფში ამოგესვარათ წმინდა იდეალი ქართველი ერის თვითარსებობისა და ყველანაირი, საზიზღარი ცილისწამებით მოპყრობოდით იმ პარტიას, რომელიც ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესს იცავდა. თქვენი სისულელე იქნამდი მივიდა, რომ იმ პარტიას, რომელმაც არა ერთი და ორი წვეთი სისხლი დაანთხია საუკეთესო მომავლისთვის ბრძოლაში, პირში ბურთი ჩასჩარით ,,განახლების გარიჟრაჟზე'' და როცა ,,თქვენებური'' დიქტატურა გამოაცხადეთ, ჩუმათ პროკლამაციის დასტამბვაც ველარ მოახერხეს თვით უკიდურესმა პარტიებმა. მაგრამ ამგვარი მოქმედება უთხრის სამარეს თავისუფლებისათვის ბრძოლას და არა შველის მას, ეს აბნელებს ხალხის გონებას, მის გათვითცნობიერებას აფერხებს და არ აადვილებს მას.

ამ ,,პროტესტებმა'' კი სრულიად დაადასტურეს ის, რასაც ყოველთვის ამბობდა ,,სახალხო გაზეთის'' ,,იმერეთის'' და სხვა მათი მიმართულების ორგანოები.

და გამეორდა ტრაგედია ჯვარცმულისა—ყოველი როლი ამ ტრაგედიისა დანაწილებული იყო, ყოველ როლს თავისი აღმსრულებელი გამოუჩნდა: გამოჩნდა იუდა ბევრათ უარესი უწინდელზე, გამოჩნდენ ღვდელთმთავრები და მწიგნობრები, პილატე და ყველა სტატისტი თავზარდამცემი სცენის დასამშვენებლათ; ბევრს უნახავს უთუოთ ცნობილი მხატვრის მუნკაჩის შესანიშნავი სურათი ,,ქრისტე პილატეს წინაშე'' ქრისტე ხელ გაბაწრული ღვთაებრივი სიმშვიდით დგას პილატეს სამსჯავროს წინაშე. მას უკან დგას ერთი ებრაელი სახეზე სიტუტუცისა და საზრიყვის წარუხოცელი ბეჭედი აზის, ხელები მაღლა აუწევია, ყბა დაუღია რაც ძალი და ღონე აქვს და გაჰყვირის: თქვენ გრძნობთ ამას, საკრამენტალურ: ,,ჯვარს აცვე, ჯვარს აცვ ეგე'' და თქვენ ხედავთ რომ მას არც კი ესმის უგნურება ამგვარის ყვირილისა: ნამდვილი გენიოსური სურათია ჩვენი ,,პროტესტანტებისა''. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და დღევანდელ ,,პროტესტებს'' შემდეგ უფრო თამამათ ვიმეორებთ:

1. ილიას მოკვლისათვის ნიადაგი მოამზადა ,,მოგზაურმა'' და მისმა ჯგუფმა ფ. მახარაძის მეთაურობით.

2. დღევანდელი ,,პროტესტები'' ეჭვს აღგვიძრავს, რომ ფ. მახარაძეს და ,,კომპ''. დიდი წილი უდევს საერო დანაშაულში, ყოველ შემთხვევაში მათ უნდა სცოდნოდათ იგი: თუ კი ექვს წელს შემდეგ, როცა ჩვენმა ერმა ამდენი უბედურება გადაიტანა, კიდევ მოახერხა ბ. ფ. მახარაძემ და მისმა კომპ. მკვდრის საფლავიდან ამოთხრა, მისი შეგინება და საქვეყნოთ ლალადი, რომ ,,ილია ჯაშუში იყო, რომელსაც ზედ მიწევნით ქონდა ჯაშუშობის როლი შესწავლილი, იმ საშინელ დროში უფრო ადვილი იყო ილიას წამება და ამ ,,დიდებულის საქმისათვის ორიოდე გადარეულის მოპოვება.

3. მთელ პარტიას, რასაკვირველია, ამაში მონაწილეობა არ მიუღია. ე. ი. რასაკვირველია, პარტიას კონფერენცია არ მიუწვევია ამ უცნაური საკითხის გადასაწყვეტათ; არც პლებისციტი მოუხდენია და ხალხში არ გაუტანია ეს საგანი განსასჯელათ, კიდევ მეტი საეჭვოა და არ დასაჯერებელი, რომ ან მთავარ ორგანოს პარტიისას ე. ი. პარტიის კომიტეტს დაედგინოს ასეთი უცნაური რამ, (კომიტეტს რომ ენერგიული ზომები მიეღო, კი შეიძლება ეს არ მომხდარიყო) ხოლო, რომ პარტიის ზოგიერთი მეთაური ფ. მახარაძის ჯურისაა, პარტიის ზოგიერთი წრეს გადასული წევრი ამზადებდა ნიადაგს ამ საზიზღარი საეროვნო დანაშაულისათვის; რომ პარტიის უმეტესობამ მოვალეობათ ჩასთვალა გულგრილათ მოპყრობოდა ამ საშინელ ფაქტს, ხოლო ერთმა ნაწილმა სამხიარულოთაც მიიჩნია და სრულიად ღირსეულათ იცნო ილია ჭავჭავაძე ამგვარის გასამართლებისა—ამის უტყუარი საბუთები დღეს ხელთ გვიჭირავს და არავითარი „მუქარა", „ზიზღი". ,,პროტესტი'' ამას ვერ გააქარწყლებს. ის კი არა, ვიმეორებთ, დღევანდელი ,,პროტესტები'' ყოველივე ამას ადასტურებს და ცოცხლათ თვალწინ გვიყენებს იმ ატმოსფერას, რომელშიც ქართველ ერს საშვილიშვილოთ მოეცხო სისხლი მისი დიდებულის მოძღვრისა..

4. რამდენიმე დასელი ისე შეარყია, ისეთი თავზარი დასცა ამ საშინელებამ, რომ საუკუნოთ ზურგი უბრუნა ასეთ „პარტიას'', ამგვარ „განახლების" მოციქულებს, რომელთაც შეუძლიათ ასეთი დიადი ტრაგედიის ,,ნაფოტის დაცვენით" ახსნა.

5. მაგრამ ჩვენ საერო დანაშაულს თავის დღეში ვიწრო ფარგალში არ ვსვამდით. ჩვენ მიგვაჩნია ამ ბოროტების მონაწილეთ ილიას თაყვანისმცემელი ჯგუფები და პარტიები. მათ ამ საშინელი მოქმედების დროს პილატეს როლი აღასრულეს. პილატემ, ხომ გახსოვთ „ვითარცა იხილა რამეთუ არას არგებს, არამედ უფროსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი, და დაიბანა ხელი წინაშე ერისა მის და სთქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა: თქვენ იხილეთ". ეჭვი არ არის მაშინ, რომ რომელიმე მომქმედ ჯგუფს ულტიმატუმი წამოეყენებია, რომ ილიას ხელის შეხება არავის ეპატიებაო, ჩვენ გადავირეცხდით სამარადისო,საშვილიშვილო სირცხვილს... მაგრამ „ვითარცა იხილეს რამეთუ არას არგებს, არამედ უფროსღა შფოთი იქმნების"... აი დახასიათება იმ ფსიხიურის განწყობილებისა,რომელსაც განიცდიდენ, და დღესაც განიცდიან ზემოხსენებული ჯგუფები და პარტიები, რომელთა მოვალეობაც იყო და არის ილიას დაცვა. განა დღესაც იგივე არ მეორდება. სრულიად გულგრილად ვუყურებთ, როგორ შეაგინეს დიდებული საფლავი მტერმა და მოყვარემ და მასვე გავიძახით: ვიხილეთ, რამეთუ არას არგებს, არამედ უფროსღა შფოთი იქმნების"...

შეგვარჩენს კი ამას ისტორიის მსვლელობა? როგორ მოხდა, როგორ ჩაიდინა ჩვენმა ერმა ასეთი უმაგალითო დანაშაული—ეს ისეთი ტრაგიზმით აღსავსე საკითხია, რომელიც თავში უტრიალებს ყოველივე შეგნებულ ქართველს, ხოლო გონება დაკარგული ბრბო, წაქეზებული „ღვდელთმთავართა და მწიგნობართა მიერ კი აღარა სცხრებიან და ძველებურათ გაჰკივიან: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე! სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო!"

და რამდენმა კაცმაც, მთელმა საქართველომაც რომ მოაწეროს ხელი, ამით ეს ჭეშმარიტი ბრალდება ვერ მოისპობა, ბოროტმოქმედება—კეთილათ ვერ იქცევა. არსებული ფაქტის აზრი ვერ შეარყევს ათასი და გინდ ათი ათასი დაინტერესებული მოწმის უარყოფის გამო. გავიმეოროთ დროისა და გარემოებ-ს შესაფერისი ცვლილებით ან. ფრანსის ზემოთმოყვანილი სიტყვები: იმისთვის, რომ სისულელეს იმეორებს რამდენიმე ასი და ათასი ყბა, სისულელე თავისს ხასიათს არ კარგავს, იგი სისულელეთ რჩება"-ო.

**ერთი პილატეთაგანი.**

# დღიური

კოკოვცოვმა გერმანიის მთავრობას სომხეთში განსახორციელებელი რეფორმების პროექტი წარუდგინა.

— ბულგარეთის მთავრობამ მიმდინარე საქმეთა შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა.

— ხმა გავრცელდა—სინოდის ობერპროკურორი საბლერი სამსახურიდან გადისო.

— კატუარი მოსკოვის ქალაქის მოურავათ არ დაამტკიცეს.

— ბერლინს საფრანგეთის ორი წარმომადგენელი მივიდა გერმანიის ბანკებთან მცირე [illegible] გაყვანის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

— რუმინიის სამხედრო მინისტრმა რუსეთის სამხედრო დელეგაციის ბუქარესტში ბანკეტი გაუმართა..

— ავსტრიის მეფემ სეფე სიტყვა სთქვა და დეპუტატებს მოუწოდა-მიიღეთ ჯარის საქმეზე ფულის გადადების პროექტის.

— რიგაში 750 მკერავი მუშა გაიფიცა. იქვე იმ დღეს 14 ათასი მუშა სამუშაოთ არ გამოსულა

— „დენის" რედაქტორს ორი თვის ციხე გადაუწყვიტეს.

# სახელმწიფო სათათბირო

**6 ნოემბრის სხდომა.**

**როძიანკო** თავჯდომარეობს. განაგრძობენ მსჯელობას შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ შეკითხვის შესახებ. შეკითხვა გამოწვეულია ქსენძის მილოშევსკისა და მემამულის შალევიჩის დაპატიმრების გამო. დაპატიმრება მინსკის გუბერნატორის ბძანებით მოხდა. მამა **ოკოლოვიჩი** აცხადებს: უმაღლესი ბძანება პოლონური პოლიტიკური კატეხიზმის მიხედვით მშვიდობიანობისა და სიყვარულის ნიშანია. პოლონელებმა უხეში ძალმომრეობა თავისუფლებათ გადააქციეს. დასავლეთ მხარეს არ შეუძლია პოლონელთა ამგვარი მოღვაწეობის გამო თავისუფალი ცხოვრება; ვისთვისაც ძვირფასია მართლმადიდებელთა ჯვარი, რომელიც შეურაცხყვეს ქსენძებმა, ის მილოშევსკის დაპატიმრებას კანონიერათ აღიარებს. რუსეთის მართლმადიდებელი მცხოვრებლები დიდი სიხარულით ეგებებიან მინსკის გუბერნატორის პოლიტიკას. (მარჯვნივ ტაშს უკრავენ) **რაჩკოვსკი:** ერთი სარწმუნოებიდან მეორე სარწმუნოებაზე გადასვლა შერეულ მცხოვრებლებში აღთქმის ძალით შეიძლება და არა პოლიტიკური ღონისძიებათა მიღებით. მილოშევსკის ბრალათ ედება რელიგიური გალობა და მრევლისაგან თავისუფალი შემოწირულობის მიღება. ნუთუ ასეთი მოქმედება სახელმწიფოსათვის საფრთხეს წარმოადგენს. გუბერნატორის მოქმედება ამ შემთხვევაში, რომ უკანონო იყო, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. მილოშევსკი გაათავისუფლეს ციხიდან პეტერბურგიდან მიღებული ბძანებას შემდეგ. აქიდან აშკარათ ჩანს მინსკის გუბერნატორის განკარგულების უკანონობა. მამა მიტროფანი ამბობს: დასავლეთ მხარეში ადმინისტრატორები ხანდიხან სცდებიან. აქ დამნაშავე მარტო ადმინისტრატორები არაა. დამნაშავე არიან პოლონელებიც, რომელნიც ხალხში ნაციონალურ შუღლს სთესვენ. პოლონელებმა რუსეთი პოლიტიკური ბრძოლის იარაღათ გაიხადეს. ორატორი მიმართავს პოლონეთის წარმომადგენელთ და სთხოვს, რომ ურჩიონ ხალხს მართლმადიდებელთა წინააღმდეგ ნუ მიიღებენ ასეთ ზომებს; წინადადებას სრულად ღებულობენ. აქვეყნებენ ამ საგნის შესახებ სვენცნიცკის ფორმულას. ფორმულას, 161 ხმით წინააღმდეგ 117, ღებულობენ. ამას შემდეგ იმსჯელეს სხვადასხვა წვრილმან კანონპროექტის შესახებ. შემდეგი სხდომა პარასკევს.

# ახალი ამბავი.

საჭიროა მწუხარებით აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ თფილისის ქართული დრამატიული დასი კვლავ რიგისამებ წარმოდგენებს ველარ გამართავს შაბათ-კვირაობით ქუთაისში, რადგან ჩვენმა

# ეროვნული საკითხი

**ავსტრო-უნგრეთი.**

**ჩეხია, მორავია და სილეზია.**

სარწმუნოებრივი მოძრაობა, რომელმაც იფეთქა გერმანიაში მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, ჩეხიასაც მოედვა. ეს მოძრაობა საბედისწერო შეიქნა ბოჰემიისთვის.

ჰაბსბურგის დინასტია გაუხდა კონტრრეფორმაციას მეთაურად და მოიხმარა ავსტრიის ერთა შორის განხეთქილება თავისი მიზნისათვის. ავსტრიის იმპერატორის ფერდინანდ მეორისა და მაქსიმილიან ბავარელის ჯარმა თეთრ მთასთან გამარჯვებით (8 ნოემ. 1620 წ.) ბოლო მოუღო ჩეხიის დამოუკიდებლობას. და მას შემდეგ ეს სამეფო, რომელიც შეიცავდა ბოჰემიას, მორავიასა და სილეზიას, შეიქნა უბრალო დაპყრობილ პროვინციათ.

ლანდტაგების უფლება ძლიერ შეავიწროეს. ქვეყანა შემუსრეს. აუარებელი მოქალაქე გააძევეს, დახოცეს, გაცარცეს და სხ. ყველაზე უფრო დასაჯეს აზნაურობა, მდიდარი მოქალაქენი და ინტელიგენცია, რომელნიც ათასობით გადაიხვეწნენ უცხო ქვეყნებში.

ბრძოლამ გერმანელ პროტესტანტ სახელმწიფოთა ერთი მხრით და ავსტრიის იმპერატორისა და ზოგიერთ მის მომხრე გერმანელ კათოლიკე სახელმწიფოთა მეორე მხრით გასტანა 30 წელს, (1608—1648 წ.). ამ ბრძოლამ მთლად გაანადგურა ბოჰემიის სამეფო, მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-სამათ იკლო; მიწები დაუმუშავებელი დარჩა, ქალაქები და სოფლები გავერანდა. ხელოსნობა დაეცა.

ვესტფალიის ზავს შემდეგ (1648 წ.) ბოჰემია კვლავ აღორძინდა ნივთიერად, მაგრამ არა პოლიტიკურათ.

ჯერ უკვე რეფორმაციას ქონდა ცუდი მნიშვნელობა ჩეხთათვის ეროვნული მხრით. როგორც კი ლიუტერის მოძღვრებამ გაიკვლია გზა ჩეხიაში, ბევრი გერმანელი გადმოიხვეწა სამშობლოდან ამ ქვეყანაში. და უკვე 1615 წელს ლანდტაგმა დაადგინა, რომ სამოქალაქო უფლება ქონოდა მხოლოდ იმ პირს, რომელმაც იცოდა ჩეხური ენა!

თეთრ მთასთან ბრძოლას შემდეგ გერმანული ენა გაუთანასწორეს უფლებრივი მხრით ჩეხურს. მეჩვიდმეტესა და მეთვრამეტე საუკუნეებში ჩეხური ენა თანდათან გააძევეს ყველა ოფიციალური დაწესებულებიდან. და გადახვეწილი პროტესტანტი აზნაურების მამულები ჩაუვარდათ ხელში გერმანელ აზნაურებს. ქალაქებში ინტელიგენცია ისე გადაგვარდა, რომ ჩეხურათ ლაპარაკიც კი ეთაკილებოდა. ჩეხური ლიტერატურა, რომელმაც უმაღლეს განვითარებას მიაწია მეთექვსმეტე საუკუნეში, დაივიწყეს, და ჩეხური ენა უკვე მკვდარ ენათ ითვლებოდა.

თითქმის ორ საუკუნეს გაგძელდა ეს ლეტარგიული ძილი და მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დადგა ხანა ეროვნული გაღვიძებისა. გაჩნდენ ენათმეცნიერნი და მეისტორიენი. გასწმინდეს და გაამშვენიერეს დამახინჯებული ენა. დაიბადა მთელე კრებული ნიჭიერი პოეტებისა და მეცნიერებისა (შაფარიკი). აღმოაჩინეს მთელი რიგი პოეტურ თქმულებათა, რომელიც ეკუთნოდა საშვალო საუკუნეთა პირველ ხანას. დაიბადა დრამა, სამეცნიერო და სალიტერატურო პერიოდული გამოცემანი.

მართველ წრეებს შეეშინდათ ჩეხთა გამოღვიძებისა და დაუწყეს დევნა პატრიოტებს: აღარ იღებდენ მათ სამსახურში, უკვე მიღებულთ ითხოვდენ, არ აწინაურებდენ და სხ. მაგრამ ერთხელვე დაწყებული მოძრაობა აღარ შემწყდარა.

მდიდარმა მოქალაქეებმა მთლად დაივიწყეს დედა-ენა. თავადაზნაურთა უმეტესი ნაწილიც გაგერმანელდა. ასე გაშინჯეთ, თავისი ჩამომავლობაც კი დაივიწყა და შემდეგ ჩეხების მტრების ბანაკში გადავიდა.

ეს ფაქტი ამტკიცებს, სხვათა შორის, იმას, რომ ეროვნული ბრძოლა მარტო კაპიტალისტური ურთიერთობის შედეგი კი არ არის, არამედ ძველადაც იყო, აგრეთვე იმასაც, რომ ეროვნული გადაგვარება შეიძლება დროებითი იყოს.

ძნელი იყო გაღვიძება საზოგადოების ღრმათ მძინარე ნაწილისა აბსოლუტიზმის დროს, როდესაც არ შეიძლებოდა პირდაპირი ქადაგება. ერთადერთი საშვალება მაშინ—წიგნი იყო. მუშაობდენ სტუდენტები, მასწავლებელნი, ღვდლები. მართავდენ წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, სპექტაკლებს, და ქადაგებდენ, რომ არ ეუკადრისებიათ თავისი დედაენა და ჩამომავლობა.

ასეთი იყო მდგომარეობა 1848 წლამდი.

ბოჰემია რომ დაიმორჩილეს, მას პირველათ კიდევ შერჩა თავისი წოდებრივი კონსტიტუცია, და ბოჰემიის ქვეყნებს განაგებდენ ქალაქ პრაგის უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულებანი. და, ასე გაშინჯეთ, თვით იმპერატორი ავსტრიისა ახორციელებდა თავის უზენაეს უფლებას, როგორც ბოჰემიის მეფე.

მაგრამ შემდეგ უმაღლესი დაწესებულებანი ბოჰემიისა გადაიტანეს ვენაში და მარია ტერეზიას მეფობის დროს გააუქმეს (1749 წ.) განსაკუთრებული სამეფო კანცელარია ბოჰემიის ქვეყნების პოლიტიკურ საქმეთათვის.

ჰაბსბურგების ცდამ, რომ ავსტრია გარდაქმნილიყო ცენტრალისტურ აბსოლიუტურ სახელმწიფოთ, მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში მიაწია სავსებით მიზანს. უკვე კარლ VI-მ (1711—1740) გამოსცა 1713 წელს ბძანება, რომლითაც აღიარებული იყო ერთობა და განუყოფელობა ავსტრიის მიწებისა. მისი შვილის მარია ტერეზიას აბსოლუტიზმმა კიდევ გადასდგა წინ ნაბიჯი. მაგრამ უკიდურეს ხარისხამდი განავითარა თვითმპყრობელობა იოსებ მეორემ, რომელმაც დაიდგა გვირგვინი 1764 წელს. და ავსტრიის მიწები გარდაიქცა ბოლოს ერთ აბსოლიუტურ სახელმწიფოთ.

და თუმცა ფორმალურათ არაოდეს არ გაუქმებულა უფლებრივი დამოუკიდებლობა ბოჰემიის სამეფოსი, ნამდვილათ ამ დამოუკიდებლობის ხსენებაც კი აღარ იყო.

უკვე 1627 წელს ჩეხიაში და 1628 წ. მორავიაში ფერდინანდ მეორემ გაუთანასწორა უფლებრივი მხრით გერმანული ენა ჩეხურს. მას შემდეგ თანდათან შემცირდა ჩეხური ენის უფლება. მაგრამ საქმეთა გარეგანი წარმოების დროს ჩეხური ენა არ იყო უარყოფილი და სამოქალაქო სასამართლოები საქმეებს ჩეხური ენაზე არჩევდენ თვით იოსებ მეორის დროსაც კი. მაგრამ შინაგანი წარმოება საქმეთა ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ხდებოდა მხოლოდ გერმანულ ენაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოთ უნივერსიტეტებში ასწავლიდენ ლათინურად და მხოლოდ იოსებ მეორის დროს შემოიღეს ლექციების კითხვა ყველა ფაკულტეტზე საღვთისმეტყველოს გარდა გერმანულათ. ჩეხური ენის კათედრა კი დააწესეს პრაგისა და შემდეგ ვენის უნივერსიტეტებში.

გიმნაზიებშიც გერმანულათ დაიწყეს სწავლა, თუმცა ხანდახან ჩეხურათაც. საქალაქო სასწავლებლებში ასწავლიდენ გერმანულათ, სასოფლო შკოლებში კი ჩეხურათ.

ამიტომ, როგორც კი დაიწყო მოძრაობა 1848 წლისა, ენათა საკითხმა მაშინვე იჩინა თავი და ერთი პირველი ადგილთაგანი დაიჭირა. პირველი პეტიცია პრაგის მოქალაქეთა (მარტში 1848 წ.) მოითხოვდა გათანასწორებას ჩეხური ენისა გერმანულთან ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში. მთავრობის რესკრიპტმა 8 აპრილის 1848 წ. დაადასტურა ეს პეტიცია.

1848 წლიდან ეროვნული მოთხოვნა შეზავებულ-შერთებული და გადახლართული იყო პოლიტიკურთან. დაარსებულ იქნა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც შეადგინა ეროვნულ პოლიტიკური პროგრამა. გაუგზავნეს დეპუტაცია იმპერატორს ინსბრუკში. მოიპოვეს უფლება დამწესებული ლანდტაგის მოწვევისა პრაგაში. მაგრამ პრაგის რევოლუციამ შეუშალა ხელი საქმეს.

რეაქციის დროს ჩეხთა პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ზოგი გააძევეს სამშობლოდან, ზოგს პოლიცია მიუჩინეს ზედამხედველათ, საზოგადოებრივი კავშირები დაშალეს, პრესას ხმა აღარ ამოაღებიეს, ერთი სიტყვით მთელი პოლიტიკური ცხოვრება შებორკეს.

1861 წლის კონსტიტუციით საარჩევნო რაიონები ისე გამოსჭრეს, რომ ჩეხიისა, ბოჰემიისა და სილეზიის ლანდტაგებში გერმანელი დეპუტატები წარმოადგენდენ უმეტესობას, თუმცა მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ ჩეხები. ამიტომ ჩეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს

დრამატიულმა საზოგადოებამ აქამდი გამართული წარმოდგენებით საგრძნობელი ზარალი ნახა.

✦ ბათომში მოკლული ყაჩაღი, როგორც ახლა ამბობენ, ფორია არ არის. ჯერჯერობით მოკლულის ვინაობა ვერ გამოურკვევიათ.

✦ 24 ნოემბერს ქუთაისში სააზნაურო, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში მოხდება, რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება.

✦ კვირას, 10 ნოემბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება. ამ კრებამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ რამდენი ფული უნდა გადასდვას თავადაზნაურობამ თფილისში კადეტთა კორპუსებში შესასვლელ-მოსამზადებელი პანსიონის სასარგებლოთ.

2 ნოემბერს გამართულ კრებაზე მეფის მოადგილის საბჭომ ალიარა თფილისის, ბაქოსი, ერევნისა და ქუთაისის სახაზინო პალატების მოსამსახურეთა შტატის გადიდება, რადგან ამ პალატებს უნდა დაეკისროს გლეხთა ნადელების გამოყიდვის საქმე. ამ მიზნით ქუთაისის სახაზინო პალატას მიეცემა 4,966 მანეთი და 4 აბაზი.

✦ 6 ნოემბერს სალამოს შვიდ საათზე სასტუმრო „ორიანტას“ წინ მოსეირნე ხალხში დიდი ჩოჩქოლი შეიქნა, და ბევრს გულიც წაუვიდა. ვინმე აბაშიძეს აუტეხია ჩხუბი, საპოლიციო დარაჯს არ დამორჩილებია, რომელსაც მისი უბანში წაყვანა განუზრახავს, თოფი გაუსროლია შესაშინებლათ და ჩოჩქოლიც ამას გამოუწვევია.

✦ 6 ნოემბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოლომონ და ივანე კოტრივაძეების, მიხეილ ქათამაძისა და მიხეილ ბურჭულაძის. მათ ბრალს სდებდენ 27 იანვარს, 1913 წელს სად. ნატანებთან ნავთის მილების გაჭრასა და 50 ფუთი ნავთის წაღებაში. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა—ივანე და სოლომონ კოტრივაძეებს ორ-ორი წლითა და რვა თვით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ღირსების ჩამორთმევით, ქათამაძეს წელიწადნახევრისა და ოცი დღის ციხე, ბურჭულაძეს ორი წლით ორი თვისა და ოცი დღით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და ღირსების ჩამორთმევა.

✦ ბათომის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ სამხედრო გუბერნატორს სთხოვა შუამდგომლობა აღსძრას იმის შესახებ, რომ შავი ზღვის პირის გზა შეუერთდეს ბათომის გზას სადგურ სუფსაში.

✦ გურიაში სიმინდი ძალიან გაძვირებულა. ჩოხატაურში ფუთი სიმინდი 18 შაურათ იყიდება.

✦ ოზურგეთელი ექიმი აბაკელია ფინლიანდიაში საიმპერატორო სანატორიუმში „ხალილაში“ მიდის ტუბერკულოზის ექიმობის ახალი მეთოდის შესასწავლათ.

✦ 3 ნოემბერს გორში აკურთხეს ილიას სახელობის სამკითხველო. სამკითხველოს კურთხევას შემდეგ ნ. ლომაურმა სამკითხველოს შესახებ სიტყვა სთქვა.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განზრახვა ქონია შუამდგომლობა აღსძრას მთავრობის წინაშე, რათა მოუსავლობის გამო დაზარალებულ ამიერკავკასიის სოფ[illegible]ებს ნივთიერი დახმარება ამოუჩინოს.

✦ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელმა გედევანიშვილმა წიგნის მეორე წყება უკვე დაურიგა ხელისმომწერლებს. ახალი წყება 14 ნოემბრისათვის იქნება მზათ.

✦ გამოვიდა ახალი წიგნი „ისტორიული საბუთები“ წიგნი II, გამოცემა სარგის კაკაბაძისა. წიგნში მე-XV—XVI საუკუნის სიგელ-გუჯრებია მოთავსებული.

✦ თფილისის სახაზინო პალატა ამ დღეებში დაამტკიცებს ი. გოგებაშვილის ანდერძს, რომელიც დამტკიცებას შემდეგ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დაუბრუნდება.

## გაზ. „ერის“ კანცელარია დაბეჯითებით სთხოვს ბ.ბ. ხელისმომწერლებს, რომ გაზეთის ფასი და ყოველგვარი ანგარიში გამოგზავნონ აუცილებლათ შემდეგი მისამართით: Кутаисъ. Кантора газ. „Ери“.

## წერილები თფილისიდან

17 ნოემბერს აქ გაიხსნება კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება. დაიწყება სიტყვების რახა-რუხი მოხსენებების კითხვა, ბანკეტები და ზეიმები. შემდეგ ქალაქის საქმეთა სათავეში მდგომნი სოლოლაკელები წაიყვანებენ წარმომადგენელთ და დაათვალიერებენ სასახლეს ახალ შენობას. წყალსადენს, ამ დღისათვის საგანგებოთ მოწესრიგებულს, გასუფთავებულ სავათმყოფოებს და სხვა. როგორც პირველი კრების მონაწილენი, ისე ამ მომავალი კრებისა, ალბათ, გვერდსა აუვლიან იმ უწესრიგობას, რომელიც სუფევს ქალაქში, ქუჩებში თუ ეზოებში შეამჩნევენ, დროებით, სანამ ქალაქიდან გავიდოდენ, ისე მოიქცევიან—თითქოს არც კი შეუმჩნევიათო. შესამჩნევი კი იმდენია, რომ უცხოელი! გაკვირებაში მოყავს ჩვენი ქალაქის მოუწესრიგებლობას თუ იგი წინდაწინვე არ არის გამოყრუებული და დაბრმავებული ქალაქის მოურავისა და მისი „თანაშემწეების“ სიტყვა წყლიანობით ჟურნალის ყოვლისა ქალაქი იმდენათ დავალიანებულია, რომ ქალაქს კოტრობა მოელის, თუ რაიმე სალსარი არ ამოაჩინა, ეს აღინიშნა შარშანდელი ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ხმოსანმა ბეზობრაზოვმა, რომელიც სახელმწიფო ბანკის დირექტორია. (ასეთ სახსრათ უნდოდათ პოლიტიკოსთა კუმი გამოეყენებიათ, რომელსაც ქალაქის საქმეთა სათავეში მდგომი პლუტოკრატია, ეგრე იბლაუჭება ნავთლუღს!) ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი, თითქმის ⅓ იხარჯება ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეთა შენახვაზე აქ სამსახურში, კი მხოლოდ ისინი არიან, ვისაც ხატისოვისა და მისი დამქაშების პროტექცია, ან ნდობა დაუმსახურებია. ტყუილათ იცდებიან სამსახურის მიღებას რუსი, ქართველი, თათარი, ან ისეთი სომეხი, რომელიც არ ემხრობა აქაურ სომხის პლუტოკრატიას, რომელიც აქ „სოლოლაკელებს“ უწოდებენ. თუნდაც ოთხი უნივერსიტეტი დაესრულებინოს იგი ადგილს ვერ ეღირსება. სხვა საქმეა ამ სოლოლაკელების ნათესავები მათთვის ყოველთვის მზათაა ადგილი, და თუ არ არის—შექმნიან, რაიმე თანამდებობას გამოიგონებენ. ასეთი მოსამსახურენი წარმოსადგენია, თუ როგორ მოეკიდებიან საქმეს. ხშირათ რომელსამე განყოფილებაში ისეთი კაცი ზის, რომელსაც ამ საქმის „ნიჩიც“ არ ესმის. მაგალითად ამ დღეებში გაზეთ „ზაკავკაზიეში“ გამოაქვეყნეს, რომ „სტროეჲი“ მიწის მზომელ ტეხნიკოსათ გადააქციეს შესაფერი ჯამაგირით. პროფესორმა სიევერსმა რევიზია მოახდინა ქალაქის ბუღალტერიისა და საბჭოს კრებაზე განაცხადა: „მოსამსახურენი არ არიან გამოსადეგნი, ამ საქმეს სრულებით არ შეეფერებიანო. მთავარი ბუღალტერი დანდუროვი კარგი კაცია, მაგრამ ბუღალტერიის იმდენივე იცის, რამდენიც ჩინური ანბანისაო.“ მართალია, მთავარ ბუღალტრათ ახალი კაცი მოიწვიეს, მაგრამ დანდუროვი სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს და ჯამაგირი მიუმატეს. კარგი რევიზია დაამტკიცებს, რომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა 9/10 არ არის შესაფერი საქმისადმი, მაგრამ რას იზამს კაცი: საქმე „სოლოლაკელებს“ ჩაუვარდათ და რაცა სურთ, იმას ჩადიან.

ყოველი ქალაქის გაკეთებული საქმე „სკანდალით“ სრულდება. მაგრამ ყურადღებას ვინ აქცევს.. გაზეთებს აჯარიმებენ და „დიფამაციისთვის“ სამართალში აძლევენ. შინაურულათ აკეთებენ საქმეს, შინაურულათ აძლევენ იჯარას, შინაურულათ აშენებენ ქალაქის შენობებს, რომელშიც ცოტახანს შემდეგ ბევრი ნაკლი გამოჩნდება და ხარჯი კი ორჯერ მეტი უნდება, ვიდრე კერძო მოიჯარადრეთა აშენებულზე. რასაკვირველია, ამ საქმეებში ყველა ითბობს ხელს, ამ მხრით სამაგალითო იყო ხმოსანი სულაბერიძის საქმის განხილვის დროს მოიჯარადრის ალაჯანოვის განცხადება. ქალაქის საბჭოსა და თვითმართველობაში თითქმის ყველას ეძლევა ფულსაო.

ის თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, საქმე რომ მაინც კეთდებოდეს და ქალაქის მცხოვრებნი რომ არ იყვნენ დაჩაგრული. მაგრამ ჭირიც ის არის, რომ ქალაქის მამებს თფილისის მცხოვრებნი თავის პირად კეთილდღეობისა და გრძნობების დასაკმაყოფილებლათ გაუხდიათ. ხმოსნები და „ქალაქის მამები“ კი არ არსებობენ მოქალაქეთათვის, არამედ მოქალაქენი მათთვის. თუ კეთდება რამე მხოლოდ ისეთ ნაწილებისათვის, რომელიც ისევ სოლოლაკელებით არის დასახლებული: აქ ელექტრონიც არის, კანალიზაციაც, ქუჩების საუკეთესო მოკირწყვლაც, სასანიტარო ზომებიც და ქუჩების სისუფთავეც. ქალაქის დანარჩენი ნაწილები, და განსაკუთრებით განაპირა ნაწილები, მაგალითად ვერა, საბურთალო, ნაძალადევი და ავლაბარიც კი ქალაქის გამგეობისათვის—გერებია. აქ გამეფებულია უწესრიგობა, საუკუნო წყვდიადი რასაც აქა-იქ მბჟუტავი მხრჩოლავი ფანარი აძლევს, გაუვლელი ტალახი ან მტვერის ღრუბლები.

ეკონომიურათ გაბატონებული კლასები თფილისში კარგათ გრძნობენ თავს: ისინი დარწმუნებული არიან, რომ როგორც აქაური მთავრობა, ისე ქალაქის გამგეობა და საბჭოც, რომელიც აგრეთვე ამ კლასების ელემენტებისაგან შესდგება, მხოლოდ მათთვის ზრუნავს. საშუალო და დაბალი კლასები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. ბინების საკითხი თანდათან მწვავდება თფილისში. აღარ მოიპოვება ხეირიანი ბინა, თუნდაც განაპირა ნაწილებში, რომელიც ორი სამი ხეირიანი ოთახისაგან შესდგებოდეს და 25 მანეთზე ნაკლებათ ღირდეს. შუაგულთან ცოტა ახლოს კი ასეთი ბინები ღირს 40—60 მანეთად, თუ შიგ ნაკლი მოიპოვება, სახლის პატრონის უმეტესობა ისევე ეკონომიურათ გაბატონებული ნაწილია, ისინი სწევენ ჩოლმე ფასს, სად ვინ მოაწესრიგებს ღარიბთათვის საკითხს, როდესაც ისევე სახლის პატრონები სხედან საბჭოსა და გამგეობაში? მეორე მხრით ასეთნაირათ გაფლანგულ ქალაქის თანხებს შევსება ესაჭიროება, ხარჯები იზდება და ამ ხარჯებს გამგეობა ისევ ქალაქის მცხოვრებლების ულარიბესი უმეტესობის ზურგიდან იღებს. სამაგიეროს კი არავითარს არ აძლევს.

მოუწესრიგებლობა [illegible] საჭიროების [illegible] მეპურეები [illegible] ბენ, იმას სჩადიან. თფილისის ფქვილით ყარსში გამომცხვარ პურს უფრო იაფათ ყიდიან, ვიდრე თფილისში, ხორცი ყარსში პირველი ხარისხისა 8 კაპიკია, აქ კი 12 და ხშირათ 3 შაური, ისიც უვარგისი. ყარსიდან თფილისამდი სულ რამდენიმე საათის სავალი გზაა. საშუალო შეძლების მოქალაქე დიდ გაჭირვებას განიცდის, ულარიბესი ნაწილი კი პირდაპირ შეუფერებელ პირობებში იმყოფება, თფილისს, ჩვენი „ქალაქის მამების“ წყალობით შეუძენია მატერიალურათ უზრუნველყოფილი მდგომარეობა და შეუშფოთებელი კეთილდღეობა ჩარჩებისათვის, ბაზაზებისათვის, სისხლის მსმელ ვაჭრებისათვის და ყოველგვარ „შავამავისათვის“, მხოლოდ ღუპავს და აწიოკებს ულარიბეს ნაწილს. იგი ღუპავს აგრეთვე სოფლელ მცხოვრებლებსაც.

ყველასათვის ცხადია, რომ ის პირნი, რომელნიც ახლა უდგანან ქალაქის საქმეებს სათავეში, ვერ შესძლებენ სახეირო საქმის გაკეთებას; მათთვის ეს საყურადღებო არ არის და არც სასარგებლო. საყურადღებო არ არის, რადგან ქალაქის სათავეში მდგომ პირთა უმეტესობა ამ ჩარჩობითა და ყვლეფითაა გასუქებული, თვითონაც სხვილი სისხლის მწოველი ვაჭრები, (кулаки), მეორეც ისა, რომ აქ მეტათ გამეფებულია შინაურულობა და გარდა „სოლოლაკელებისა“ დანარჩენ მცხოვრებთა ინტერესი მათ აბუჩათ აქვთ აგდებული. ეს მდგომარეობა იქამდის გაგძელდება, ვიდრე ქალაქის საქმეებს ხალხი არ ჩაუდგება სათავეში, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამოისუნთქოს კოტათი თავისუფლათ ქალაქის მცხოვრებთა ულარიბესმა უმრავლესობამ, სანამ კი ძველი წესი იქნება გამეფებული, ისევ ის მტვერი, ტალახი და უწესრიგობა იქნება გამეფებული, ქალაქს გამგეობაში მუდამ ის ჭყანტორი იქნება, სადაც მრავალგვარი ქვემძრომი მრავლდება. **ჭიანური.**

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ).

რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** გადაიცვალა აკადემიკოსი მილერი.

**არხანგელსკი.** მდინარე დვინაზე მიმოსვლა შესწყდა.

**სარატოვი.** საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა აღსძრა, რომ მოწვეულ იქნას საზოგადო მოღვაწეთა და ექიმთა კრება შავიქირის წინააღმდეგ მისაღები ზომების გამოსაძებნათ.

**მოსკოვი.** სასამართლო პალატამ რედაქტორს ოვნილიაშჩენკოს ერთი წლის ციხე მიუსაჯა.

ლანდტაგებს, ე. ი. აღარ გააგზავნეს თავისი დეპუტატები აღარც ლანდტაგებში, აღარც საერთო პარლამენტში, ან რეიხსრატში.

ვერც 1867 წლის კონსტიტუციამ შეაჯერა ჩეხების გული-კიდევ გამოაცხადეს ბოიკოტი. და 1868 წელს გამოსცეს დეკლარაცია, რომელშიც მოითხოვდენ თავისი ისტორიული უფლების აღდგენას. მაშინ ვენის მთავრობამ დანიშნა პირველ მინისტრათ შერიგების მომხრე გოგენვარტი, და 1871 წელს ავსტრიის პარლამენტმა შეადგინა ძირითადი მუხლები, რომელიც უნდა დასდებოდა საფუძვლათ შერიგებას ჩეხთა და მეფეს შორის. მეფეს უნდა ალეარებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ბოჰემიის სამეფოსი და პასუხისმგებლობა ადგილობრივი მთავრობისა ბოჰემიის ლანდტაგის წინაშე. და ამ შერიგების დასადასტურებლათ უნდა დაედგა თავზე წმ. ვენცესლავის გვირგვინი. მაგრამ ბიუროკრატიამ შეუშალა ხელი საქმეს. და დეპუტატებმა კვლავ მიმართეს პასიურ ბრძოლას. ამგვარი წინააღმდეგობის მეთაური იყო პალაცკი.

1873 წელს დაიბადა ახალგაზდა ჩეხების პარტია, რომელიც უარყოფდა პასიურ წინააღმდეგობას და ალიარებდა აქტიურ ბრძოლას.

პალაცკის სიკვდილს შემდეგ (1876 წ.) ჩეხთა ეროვნული პარტიის წინამძღოლობა ჩაუვარდა ხელში მის სიძეს რიგერს, რომელიც ალიარებდა აქტიურ ბრძოლას. მინისტრმა ტააფემ, როგორც ვსთქვით, გაუწოდა ჩეხებს შერიგების ხელი. მაშინ ჩეხთა დეპუტატები გამოცხადდენ ავსტრიის რეიხსრატში. 1880 წელს გამოვიდა განკარგულება, რომლის ძალითაც სასამართლოში საქმეების გარჩევა (გარეშე წარმოება საქმეთა) უნდა მომხდარიყო ორივე ენაზე. 1882 წელს პრაგის უნივერსიტეტი გაყვეს გერმანულათა და ჩეხურ უნივერსიტეტებათ. მოახდინეს სხვა რეფორმებიც კიდევ ჩეხთა სასარგებლოთ. ოლქების საარჩევნო დანაწილება თუმცა მაინც კიდევ უპირატესობას ანიჭებდა გერმანელებს, მაგრამ 1883 წლიდან ბოჰემიის ლანდტაგში უკვე ჩეხები შეადგენდენ უმეტესობას. 1890 ძველ ჩეხთა პარტია შეუთანხმდა ავსტრიის მთავრობას იმის შესახებ, რომ ბოჰემიის ქვეყნები განაწილებულიყო ორათ: გერმანელთა და ჩეხთა რაიონებათ. გერმანულ რაიონში უნდა ყოფილიყვენ გერმანელი მოხელეები, ჩეხურში კი ჩეხები. მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა ეროვნული შეთანხმება და გამიჯვნა ბურჟუაზიულ პარტიებს შორისაც, როგორც ნათლად მოწმობს ეს ფაქტი. მაგრამ ბ. „ნარიძისთვის“ ფაქტს კი არ აქვს ფასი, არამედ მხოლოდ მისი საკუთარი ფიქრისა და ოცნების მიერ შეკოწიწებულსა და ნაცოდვილარ ხუხულას, რომლის დანგრევასაც სულის შებერვაც კი არა სჭირდება!

ძველი ჩეხებისა და ავსტრიის მთავრობის შერიგება უარყვეს ახალგაზდა ჩეხებმა, რომელნიც ვერ შეელიენ ისტორიული ბოჰემიის აღდგენის იმედს, და ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

მაშინ შესდგა ანტიჩეხური სამინისტრო და ბოჰემიის გერმანელთა შორის დაიბადა ეროვნული მოძრაობა ჩეხთა წინააღმდეგ.

შემდეგ ბადენის სამინისტრომ კიდევ მეტი უფლება მიანიჭა ჩეხურ ენას (1897 წ.). ყოველ მოხელეს უნდა სცოდნოდა ორი ენა. ამ განკარგულების ძალით ძლიერ შემცირდა გერმანელი მოხელეების რიცხვი. გერმანელმა დეპუტატებმა მიმართეს ობსტრუქციას: ე. ი. ყვირილით, ხმაურობითა და დაუსრულებელი ორატორობით შეუძლებელი გახადეს საპარლამენტო მუშაობა. ამის გამო ახალმა სამინისტრომ გააუქმა 1899 წელს განკარგულება ბადენისა. მაგრამ ახლა ახალგაზდა ჩეხებმა იხმარეს იგივე იარაღი, ე. ი. ობსტრუქცია.

რეიხსრატის დეპუტატებს ირჩევდენ წინათ კურიები, ე. ი. ცალ-ცალკე მემამულენი, ვაჭართა პალატანი, მოქალაქენი, გლეხთა თვითმართველობანი და ოფიციალური დაწესებულებანი. რომ ეროვნული ბრძოლა განელებიათ, შექმნეს ჯერ მეხუთე კურია, ე. ი. მიუმატეს არსებული კურიების მიერ არჩეულს 353 დეპუტატს საყოველთაო არჩევნის საფუძველზე არჩეული 72 დეპუტატი. მაგრამ ამ რეფორმამ ვერ უშველა საქმეს.

შემდეგ 1906 წ. დეკემბერში დაკანონებულ იქნა საყოველთაო არჩევანი. ამ კანონით რეიხსრატის დეპუტატთა რიცხვია 516, მათ შორის 233 გერმანელია, 259 სლავი და 24 სხვადასხვა ერის წარმომადგენელი. და, ცხადია, თუ შევუდარებთ ავსტრიის გერმანელთა რაოდენობას მცხოვრებთა საერთო რიცხვს, გერმანელებს დიდი საარჩევნო უპირატესობა აქვთ.

ახალმა არჩევანმა, რომელიც მოხდა 1907 წ. დამდეგს, ბევრი ძველი დეპუტატი გააშავა. სოციალდემოკრატებმა შეიძინეს 87 ახალი დეპუტატი, კლერიკალებმა კი 96, რადგან მათ დიდი გავლენა აქვთ გლეხთა შორის.

მაგრამ ახალ რეიხსრატშიც 36 სხვადასხვა პარტია ლრღნის ერთმანეთს და ეროვნული ბრძოლა არ დაწყნარებულა.

პროვინციალურ ლანდტაგებში კი ისევ ძველებური საარჩევნო წესი დარჩა და კერძოთ ჩეხთა და გერმანელთა შორის ისე გამწვავდა ბრძოლა, რომ იმპერატორის მთავრობა იძულებული შეიქმნა (1913 წ.) შეაჩეროს დროებით კონსტიტუცია და შემოიღო ისევ ძველებური, დახავსებული ბიუროკრატიული მართვა გამგეობა.

საზოგადოთ გერმანელები სთვლიან თავის თავს ბატონებათ და დიდი, ღრმა ანტაგონიზმია ამ ორ ერს შორის. ამიტომ სოციალური, კლასთა შორის ბრძოლა იჩრდილება და მთელი პოლიტიკური ენერგია იხარჯება ეროვნული ბრძოლისათვის.

თუმცა კი ნურავინ იფიქრებს, ვითომ ჩეხთა ან გერმანელთა მდგომარეობა ხსენებულ ქვეყნებში უნუგეშო იყოს.

ჩეხებს, მაგალითად, აქვთ თავისი უნივერსტეტი პრაგაში და ორი ჩეხური უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი, ერთი პრაგასა (1869 წლიდან) და მეორე ბრიუნისა (1899 წლიდან).

და, თუმცა ამისთვის დიდი ცდა და შრომა დასჭირდათ, მაგრამ აქვთ ჩეხური გიმნაზიები და სახალხო შკოლები.

სასწავლებლების გახსნის უფლება იმპერატორის მთავრობის ხელშია.

და ამ გვარი ცენტრალიზაცია ერთობ აფერხებს ეროვნული სასწავლებლების დაარსების საქმეს.

ხსენებული ფაქტებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა.

ჩეხიასა და მორავიაში შეიძლება გამოიჭრას ერთ-ენიანი ტერიტორია, შეხებისაგან დასახლებული, სადაც გერმანელთა რიცხვი იქნება მხოლოდ 5% და ამ ქვეყანას შეიძლება მიენიჭოს სრული ეროვნულ—ტერიტორიალური ავტონომია. მაშინ აქ ეროვნული ავტონომია სრულიად დაფარავს ტერიტორიალურს და არ არის საჭირო ექსტერიტორიალური ავტონომია, რომელსაც სთხზავს შპრინგერი.

მეორე მხრით ის არის კიდევ საგულისხმო, ჩეხებმა რომ თავისი ეროვნული ვინაობა აღადგინეს. ერთი დრო იყო, ჩვენსავით დაივიწყეს დედა ენა და ეროვნული ლიტერატურა: ასე გაშინჯეთ ლაპარაკსაცო, კი აღარ კადრულობდენ, ჩეხურათ.

დღეს კი მათმა მეცნიერულმა და ლიტერატურულმა ენამ სისრულეს მიაღწია.

რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტი? ცხადია, იმას, რომ ჩეხებს ქონდათ და აქვთ თავისი ტერიტორია, არ იყვნენ გაბნეული დედა მიწის ზურგზე, არ გაუწყვეტიათ კავშირი თავის ტერიტორიასთან, თუმცა მრეწველობა და ვაჭრობა იქ უფრო განვითარებული, ვიდრე საქართველოში.

და, ტერიტორია რომ არ ქონოდათ, ისინი ებრაელებზე უარეს მდგომარეობაშიც ჩავარდებოდენ: დევნილი იქნებოდენ და ვერაოდეს ვერ ეღირსებოდენ იმ სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ უფლებას, რომელიც დღეს ხელში უჭირავთ.

მაშ კიდევ იტყვის ბ. „ნარიძე“, ტერიტორიასთან კავშირის გაწყვეტა ქმნის ეროვნულ კულტურასო?!

სილეზიის შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგან დაწვრილებით განსაზღვრა ავსტრიის მიწებისა არ შეადგენს ჩემი წერილების მიზანს.

(ხსენებული ცნობები ამოვილე პროფ. „კირილე გორაჩეკის“ წერილიდან რუსულ კრებულში: „ნაციონალური მოძრაობის ფორმები“ და „პფლუგ გარტუნგის“ „მსოფლიოს ისტორიიდან).

**ნესტარი**

(შემდეგი ქნება.)

## საპაჭრო სახლი
## ი. გოკიელის ამ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი
მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ
აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის
(ოლქ-სეგ ცენით ემზდენ წარმოებისა)

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტოდულიდის [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 30 კ.** [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტად გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი** ქქთომეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


**ცარიცინი.** სამაზრო სანიტარულმა საბჭომ შავიჭირის წინააღმდეგ მისაღები ღონისძიებანი გამონახა. საბჭომ დაადგინა—სადაც ეს სენია გავრცელებული, იქ აიკრძალოს ღვინისა და მაგარი სასმელების გაყიდვა.

**პეტერბურგი.** პრესის საქმეთა კომიტეტმა დააკავა 23-ე ნუმერი „ნოვი სატირიკონისა".

22 იანვარს მოხდება რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების კრება.

**რიგა.** მკერავთა 750 მუშა გაიფიცა.

**ვარშავა.** რონიკერის საქმის გარჩევას განაგრძობენ. გამოირკვა, რო მკვლელობის დღეს რონიკერი ლიუბლინში ყოფილა. ჩამოართვეს ჩვენება სასტუმროს მეკარეს.

**რიგა.** რამდენიმე სხვილი მრეწველის ქარხანაში მუშები სამუშაოთ არ გამოცხადდენ. გაფიცულთა რიცხვი 14 ათასამდია.

**პეტერბურგი.** მონგოლეთის დეპუტაციამ გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულა და განახლებული მონგოლეთის სახელით რუსეთს მეგობრული დამოკიდებულების გამო მადლობა გადასცა. მინისტრი მომავალში დახმარების აღმოჩენას შეპირდა. ხელმწიფე იმპერატორის სახელით სთხოვა, რომ ლივადიაში ეწვიოს ხელმწიფეს.

შეკითხვის საქმეთა კომისიამ მემარჯვენეთა შეკითხვა უაყო. შეკითხვა ეხებოდა პეტერბურგის ნაფიც ვექილთა რეზოლუციას ბეილისის საქმის შესახებ.

შინაურ საქმეთა მინისტრი დაბრუნდა.

გაზეთი „დენის" რედაქტორს მეთაური წერილისათვის ორი თვის ციხე მიუსაჯა.

### უცხოეთი.

**ბელგრადი.** სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარეთ პაშიჩის ნაცვლათ საბჭოს წევრი ნიკოლიჩი დანიშნეს.

**პარიზი.** ესპანიის მეფემ და მისმა ამალამ რესპუბლიკის პრეზიდენტი ინახულეს.

**სოფია.** გელადიევი ვენას წავიდა, რათა მეფე ფერდინანდს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარუდგინოს.

**პარიზი.** გაიხსნა მეორე საერთაშორისო კონგრესი. ფინანსის მინისტრი უცხო სახელმწიფოთა დელეგატებს სიტყვით მიესალმა და უთხრა: რუსეთის წარმომადგენლათ არის ფინანსიურ საქმეთა აგენტი რაფალოვიჩი.

**ბუდაპეშტი.** გაზეთების ცნობით, მოსალოდნელია, ხორვეტიელები უნგრეთის მთავრობას შეუთანხმდენ.

**ათინა.** მთავრობა მალე გზათა უწყების სამინისტროს დაარსების შესახებ დეპუტატთა პალატაში კანონპროექტს შეიტანს.

**ბერლინი.** მოვიდა საფრანგეთის ორი წარმომადგენელი ფინანსიურ საქმეებზე მოსალაპარაკებლათ. წარმომადგენლებს მოლაპარაკება აქვთ გამართული გერმანულ ბანკებთან მცირე აზიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ.

**ბუქარესტი.** სამხედრო მინისტრმა რუსეთის სამხედრო დელეგაციას ბანკეტი გაუმართა. ბანკეტს დაესწრენ რუსეთის საელჩოს მოხელეებიც.

**სოფია.** გენერალმა სავოვმა ღია წერილი დასტამბა. სავოვის აზრით ბულგარეთის უბედურება მარტო 16 ივნისის გალაშქრება არ არისს. ამ უბედურების მიზეზის გამოსააშკარავებლათ საჭიროა სახელმწიფოს საიდუმლოებათა გამომჟღავნება! თავის წერილში სავოვი სწერს: ბულგარეთის ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. ნაციონალური იდეალის მოკვლა შეუძლებელია.

**ბერლინი.** კოკოვცოვი ერთი გაზეთის წარმომადგენელს ალბანეთის საქმეების შესახებ ესაუბრა. იმედი გამოსთქვა, რომ ალბანეთის საკითხი ისე დასრულდება, რომ ყველას დააკმაყოფილებსო. კოკოვცოვი შეეხო ლონდონის კონფერენციის დადგენილებათა და სთქვა: რუსეთს არაოდეს არ მოუთხოვია ამ დადგენილებათა ხელმეორეთ განხილვაო. კოკოვცოვმა მიიღო „ნოიე ფრ. პრესის" კორესპონდენტი. ავსტრია-რუსეთის დამოკიდებულობის შესახებ კოკოვცოვმა კორესპონდენტს უთხრა: ამ საგნის შესახებ როგორც კერძო პირი, ისე გეტყვი, ვინაიდან დიდი ხანია რუსეთს მოცილებული ვარო. ავსტრო უნგრეთის ულტიმატუმი სერბიის მიმართ მოულოდნელი იყო. სერბია ბალკანეთის ომის დროს დათმობის გზას ადგა. ავსტრო-უნგრეთს ულტიმატუმი სერბიისათვის კი არ უნდა წარედგინა, არამედ დიდ სახელმწიფოებისათვის უნდა გაეგზავნა. სერბია ალბანეთში შესვლის დროს დიდი სახელმწიფოთა კოლექტიურ ნაბიჯს მიჰყვებოდა. რუსეთის მთავრობის სურვილია—ავსტრო უნგრეთთან დამოკიდებულობაში არაფერი იყოს დამალული. რუსეთის სახელმწიფოს მოღვაწეები ბალკანეთის ომის დროს ავსტრიასთან მეგობრული დამოკიდებულობის დასამყარებლათ ბევრს შრომობდენ.

**ვენა.** მეფემ სეფე სიტყვაში სთქვა: ბალკანეთის საქმეთა კრიზისის დროს ავსტრიის მთავრობა ცდილობდა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები დაეცვაო. შეეხო ადრიატიის ზღვის დიდ მნიშვნელობას და განაგრძო: ჩემმა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ალბანეთის საკითხს. მოკავშირე სახელმწიფოს იტალიის თანხმობით ჩვენ აღვსძარით ლონდონის კონფერენციაზე საკითხი დამოუკიდებელი ალბანეთის სამეფოს შესახებ. ბოლოს იმპერატორი შეეხო ახალ კანონპროექტს ჯარის საქმეზე ფულის გადადების შესახებ და მოუწოდა, რომ ეს კანონპროექტი დაამტკიცონ.

**ტოკიო.** ფრანგი ავიატორი სტამბოლს გადაფრინდა. გზაში ბურგასის მახლობლათ აეროპლანი ძირს დაეშვა, ავიატორი სიუბუქათ დაშავდა.

**სტამბოლი.** ერობისა და პროგრესის პარტია ცდილობს, ფრაკიაში მაკედონიიდან გამოსული მუსულმანები დაასახლოს. ხსენებულ პარტიას განზრახვა აქვს, შექმნას ევროპის ოსმალეთი. დასახლებულთ დახმარებას აძლევენ.

ერთობისა და პროგრესის თვალსაჩინო წევრის რომში წასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მას მოლაპარაკება აქვს გამართული იტალიასთან ოსმალეთის ფლოტის გაძლიერების შესახებ.

## ნიმუშები გერმანიის ლიტერატურიდან.

**„ტრაგედიის წარმოშობიდან."**

ჰელინთა შორის არსებობდა ძველი თქმულება:

მეფე მიდასი დიდ ხანს დასდევდა ტყედა-ტყე დიონოსის მხლებელს ბრძენ სილენს.

ბოლოს, როგორც იქნა ჩაიგდო ხელში და ეკითხება ტყვეთ ჰყრობილ ბრძენს, თუ რა უნდა იყოს ადამიანისათვის ყველაზე უფრო სანუკვარი? სდუმდა დემონი განუძრევლათ. სანამ მეფისგან იძულებულ ყოფილმა ხით-ხითით არ უპასუხა.

„საცოდავო, წარმავალო, პირმშოვ, შემთხვევისა და გაჭივრებისა, რათ მაძალებ გითხრა ის, რის არ გაგონებაა სწორეთ შენთვის უსაჭიროესი.

უსანუკვარესი შენთვის სრულიად ხელ მიუწდომელია.

მხოლოდ ამას გეტყვი: კარგი იყო; არ შობილიყავ, არ ყოფილიყავ და არ იყო.

მეორე კი შენთვის საუკეთესო და სანატრელია:

„რაც შეიძლება მალე მოკვდე."

გ. აბაშისშირელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაკტორო!**

თქვენს პატივც. გაზეთში მოთავსებული ალ. წერეთლის წერილი (იხილე „იმერეთი" № 167. „პასუხი ცილისმწამებლებს") მაიძულებს მას რამდენიმე შენიშვნა გავუკეთო. მიზნათ მაქვს აღვადგინო სიმართლე, რამდენათაც საქმე შეეხება იმ სამედიატორო სასამართლოს, რომლის ერთი წევრთაგანიც მე ვიყავი.

შენიშვნებს მოკლეთ ჩამოვსთვლი:

1. ალ. წერეთელმა რომ გრ. ცქიტიშვილი სამედიატორო სასამართლოში გამოიწვია, და—სასამართლო საქმის გამორკვევას შეუდგა,—მართალია; მართალია ისიც, რომ სასამართლოს არ დასცალდა საქმე ბოლომდი მიეყვანა. მაგრამ ვერ დავადასტურებ იმას, რომ სასამართლოს რაიმე რეზოლუცია გამოეტანოს, ან ავი ან კარგი. ვერ დავადასტურებ აგრეთვე თითქოს ცქიტ. ცდილიყოს საქმის მსვლელობისთვის ხელი შეეშალა.

2. მართალია, რომ როკითელი (ოქმებში მ. აბულაძის გვარით არის შეტანილი) ალ. წერეთლის უდანაშაულობის მოწმე იყო საქმის გარჩევის დროს,—ის როკითელი, რომელიც დღეს იმავე წერეთლის ჯალათობას არ დაიზარებს; ბევრ სიმართლეს ამბობს წერეთელი თავისი მოპირდაპირის დასახასიათებლათ, მაგრამ ეს ეხუთნის ერთ ჯგუფს, სწორეთ რომ ვსთქვათ, რამდენიმე პირს და არა მთელ მიმართულებას. მაგალითად, შემცდარია ალ. წერეთელი, როდესაც ის ვლ. სულაქველიძეს „სექტანტური ფანატიკოსი"-ს სახელით ნათლავს, როდესაც ეს უკანასკნელი ცნობილია ამხანაგთა შორის, როგორც პატიოსანი და ღირსეული ადამიანი

3. მართალია წერეთელი, რომ როკითელს არ უსარგებლებია სასამართლოს ოქმებით, როდესაც ის წერეთლის წინააღმდეგ ამხედრდა; მაგრამ არც წერეთელს ეჭირა ხელში ოქმები, როდესაც ამ წერილს სწერდა. მას ქონდა მხოლოდ ქაღალდი, რომელშიც აღნუსხულია მხოლოდ საქმის მსვლელობა მოკლეთ და ბრალდების რამდენიმე მუხლი, აი, ამ ქაღალდს მოვაწერე მე ხელი, და არა რაიმე რეზოლუციას. შევნიშნავ სხვათა შორის, რომ ხსენებულ ქაღალდში პირადათ მე ორ ადგილს ხაზი გაუსვი და ვსთხოვე ამოეშალა. ვსთხოვე აგრეთვე,—თუ მის დაბეჭდვას მოისურვებდა, დაებეჭდა მთლათ და არა ნაწყვეტებათ. საკვირველია, რომ ჩემ თხოვნას გვერდი აუარა.

4. არც „ისარ-"ს ქონდა დიდი საფუძველი, როდესაც თავის წერილს სწერდა ამ საქმის შესახებ (არ მახსოვს „იმერეთი-"ს რომელ ნუმერში). როგორც ერთი მხარე, ისე მეორე ოქმებზე ათითებს, რომელსაც არცერთი არ გასცნობია! ან და რა უნდა ნახონ ამ ოქმებში? ოქმები ხომ რეზოლუცია არაა. მერე ისიც გაუთავებელი ოქმები. იქ შეგვქონდა ყველაფერი, რაც საქმის წარმოების დროს ხდებოდა. იქ-კი ითქვა როგორც წერეთლის წინააღმდეგ, ისე მის სასარგებლოთ. აწონდაწონვის უფლება-კი არ გვქონდა, რადგან საქმეს ბოლო არ მიეცა.

5. ამას შემდეგ მაინც ილოდეს ყველამ საქმის ვითარება. შეიძლება, პირადი შთაბეჭდილება გამოსთქვა რომელიმე წევრმა, მაგრამ კოლექტიური დასკვნა კი არ ყოფილა. საქმეს რომ დაბოლოება ეჭირვება, ეს თვით წერეთელმაც კარგათ იცის; სამარცხვინო სახელის გამოგონება კი არაფერი ვაჟკაცობაა. ლანძღვა-გინებით და სიმძულვარით სიმართლეს ვერც ერთი ვერ გამოარკვევს.

გ. ახ—იანი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


## გამოცდილი მასწავლებელი,
ნაფიცი ვექილის თანაშემწე

**ამზადებს და ამეორებიებს** საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.

## აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა სამოსამართლო საქმეების შესახებ.

**მოსწავლენი** მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, **კლიენტები-კი**—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

ხრესილი.

## სამკურნალო
## აბანო
მეირფასი მთის აერზე
## ძმ. ყორყოლაძეების
ახლად ახალი მოწყობილებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თბილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

## კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
მიღებულია შემდეგი ახალი წიგნები.

1. თ. ჟორდანია, ქართული ენისთვის ბრძოლა . . . ფ. ერთი აბაზი
2. ალ. ჭიჭინაძე მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა. . . . . . . . ფ. შვიდი შაური
3. გ. ხეჩუაშვილი, საქართველოს გმირი (გიორგი სააკაძე) . ფ. ორი აბაზი
4. უცხო სიტყვათა ლექსიკონი . . . ფ. ერთი აბაზი
5. გ. ერისთავის რჩეული თხზულებანი—საკლასოთ სახელმძღვანელო წიგნი I . . . . . ფ. სამი აბაზი
6. Кипшидзе. Зак. о прекращ. вр. обяз. отнош. крест. къ помѣщикамъ . . . . ц. 30 к.
7. Ильинъ. Поѣздка въ Сванетію . . . ц. 1 р. 25 к.
8. Кульманъ. Методика русскаго языка . . . ц. 1 р. 30 к.
9. Дитмаръ. Курсъ географіи Россіи . . . ц. — 60 к.
10. Обуховъ. Какъ вести занятія съ нѣсколькими отдѣленіями . . . . . . ц. 1 р. 10 к.
11. Ницше. Автобіографія (Ecce homo) . . . ц. 1 р. —

## გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნუჩავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.